

**ოქმი #4**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს მორიგი სხდომის**

2020 წელი, 14 თებერვალი  
 ქ. ოზურგეთი  
 14.00 – 16.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს თავმჯდომარე, დავით დარჩია.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:  
 გ.ღურჯუმელიძე, ლ.საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა,  
 გ.კილაძე, ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე, გ.თოიძე,  
 ლ.მგელაძე, გ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე.  
 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის  
 პასუხისმგებელი მუშაკები. მასმედიის წარმომადგენლები.  
 საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის  
 წევრები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 13, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით დღის წესრიგს დაემატა 2 საკითხი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე“ და „საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე“, მანვე გამოთქვა აზრი განხილვიდან მოეხსნათ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების გაწეული მუშაობის ანგარიშები, ამასთან მოხდება გადანაცვლება ა(ი).ი.პ-ების ანგარიშების მოსმენაში, რასაც საკრებულოს ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, ამ ცვლილებებით დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ლაშა თავაძე**

ამ საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ მომავალში უნდა გადაიხედოს მიწის ნაკვეთების ფასები.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი**

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა განმარტებული ყოფილიყო, რა მიზნით უბრუნებს მუნიციპალიტეტი ქონებას საკრებულოს. განმარტეს, რომ საკრებულოს სხდომაზე განხილვისას გაკეთდება განმარტება, საკითხი დადგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე მიმდინარე წლის 17 თებერვლამდე და განიხილავს შესაბამისი დარგობრივი კომისია (გ.კილაძე).

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირებისა და მის მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნის შესახებ“ საინიციატივო ჯგუფის წერილობითი მომართვის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ირაკლი პაპავა**

თანამომხსენებელმა განმარტა, რომ საკითხი მოაწესრიგებს მოსახლეობის საერთო კრების ტიპიურ დებულებაში არსებულ ხარვეზს, რომელიც ეხება იმ დასახლებებს, სადაც 2000 ამომრჩეველზე მეტია დარეგისტრირებული, კერძოდ ორი დაბა და ქ.ოზურგეთი.

ეს საკითხი დაეწერა შესაბამისს დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე), რომელიც ინიციატორებთან ერთად უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილების პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებასა და საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე განსახილველად წარმოდგენას. ამ დადგენილების მიღების ინიციატივას მხარი დაუჭირეს ბიუროს წევრებმა: ლ.ბიგვაჯამ, ე.გორდელაძემ და ლ.საჯაიამ.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა ო.რევიშვილმა განაცხადა, რომ ამ დადგენილების პროექტის ინიციატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ და „დემოკრატიული განვითარების კავშირი“

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32

დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი:დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი:პავლე ჭყონია**

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მომავალში ამგვარად წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტს მხარს არ დაუჭერს და დააყენებს საკითხს მისი განხილვიდან მოხსნის თაობაზე, რადგან ცვლილება ფაქტიურად ახალი დადგენილებაა და კანონმდებლობის მოთხოვნებს და პროცედურულ ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

5. „საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი:დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი:პავლე ჭყონია**

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გია მამაკაიშვილი**

საკითხის განხილვის დაწყებამდე ბიუროს წევრმა ლ.ბიგვაჟამ განაცხადა, რომ მომავალში უმჯობესია საკრებულოს დარგობრივი კომისიების ანგარიშები მოსმენილი იქნას მერიის საკურატორო სამსახურების და მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის შემდეგ.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი**

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**ანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა**

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ილია ლეჟავა**

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თენგიზ ქუტიძე**

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „შ.პ.ს სატისი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია თანამომხსენებელი: ნოდარ თოიძე**

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ

2019წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია თანამომხსენებელი: ამბაკო გოგოტიშვილი**

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გია სკამკოჩაიშვილი**

14. ა (ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის“მიერ2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: რომან გოგიტაური**

15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქტიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თემურ გიორგაძე**

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „რაგბის განვითარების კავშირი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თენგიზ კალანდაძე**

18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხურთო კლუბი „მერცხალი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ზურაბ ჯუღელი**

19. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანები“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გელა შაფაქიძე**

20. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ქეთევან ლორთქიფანიძე**

21. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მაია ქუტიძე**

22. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ.“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მაკა ჭყონია**

23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თამარ ნადირიძე**

24. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლაშა კუტალაძე**

25. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი“ გურია“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ნათია დუნდუა**

26. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ავთანდილ თავართქილაძე**

27. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლი“ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კახა ვასაძე**

28. ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრ.კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლი“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლელა შარაშენიძე**

29. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“-ს მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლიანა ბაქანიძე**

30. ა (ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეომო გაერთიანების“ მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოგა ტრაპაიძე**

31. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე**

32. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლელა საჯავია**

33. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი**

34. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე**

35. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ინჭვირველი**

36. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე**

37. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

### **გადაწყვეტეს:**

1. საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 33, 35, 36- საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში, განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. N 8, 16, 32, 34, 37 საკითხები ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან და მოიხსნას განხილვიდან.

3. N3 საკითხი არ იქნას შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, დაეწეროს შესაბამის დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე), მანვე ინიციატორებთან ერთად უზრუნველყოს საკრებულოს დადგენილების პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავება და საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე განსახილველად წარმოადგენა.

4. N2 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში, დაყენებულ იქნას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე მიმდინარე წლის 17 თებერვლამდე და განიხილოს შესაბამისმა დარგობრივმა კომისიამ (გ.კილაძე).

5. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (გ.ინჭვირველი) დაევალოს მერიის სამსახურების უფროსებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელების საკრებულოს სხდომაზე ანგარიშების ჩასაბარებლად განრიგის მიხედვით გამოცხადების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

6. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 17 თებერვალს დღის 10.00 საათზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

